

**ფინანსური ანგარიშგება
და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ეფემჯი სოფტ“**

შპს ეფემჩი სოფტ
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

აქტივები	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	402,932	178,886
არამატერიალური აქტივები		12,311	12,311
სულ გრძელვადიანი აქტივი		415,243	191,197
მიმდინარე აქტივები			
გადახდილი გადასახადები		95,061	71,192
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	136,338	129,369
გადახდილი ავანსები	6	55,418	70,188
მიმდინარე მოთხოვნები	6	333,436	307,395
ფული და ფულადი ექვივალენტები	7	678,622	694,242
სულ მიმდინარე აქტივები		1,298,876	1,272,386
სულ აქტივები		1,714,119	1,463,584
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		100.00	100
გაუნაწილებელი მოგება		1,287,753	1,034,152
სულ კაპიტალი		1,287,853	1,034,252
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	137,629	102,464
მიღებული ავანსები	8	288,637	326,867
სულ მიმდინარე ვალდებულებები		426,266	429,331
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,714,119	1,463,584

დირექტორი

დავით გოგოჭური

შპს ეფემჩი სოფტ

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

აქტივები	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	402,932	178,886
არამატერიალური აქტივები		12,311	12,311
სულ გრძელვადიანი აქტივი		415,243	191,197
მიმდინარე აქტივები			
გადახდილი გადასახადები		95,061	71,192
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	136,338	129,369
გადახდილი ავანსები	6	55,418	70,188
მიმდინარე მოთხოვნები	6	333,436	307,395
ფული და ფულადი ექვივალენტები	7	678,622	694,242
სულ მიმდინარე აქტივები		1,298,876	1,272,386
სულ აქტივები		1,714,119	1,463,584
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		100.00	100
გაუნაწილებელი მოგება		1,287,753	1,034,152
სულ კაპიტალი		1,287,853	1,034,252
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	137,629	102,464
მიღებული ავანსები	8	288,637	326,867
სულ მიმდინარე ვალდებულებები		426,266	429,331
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,714,119	1,463,584


დირექტორი

დავით გოგოჭური

შპს ეფემჩი სოფტ
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	9	3,457,877	2,570,497
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	9	(120,268)	(98,298)
მთლიანი მოგება		3,337,609	2,472,199
სხვა საოპერაციო შემოსავალი		47,200	-
ადმინისტრაციული ხარჯი	10	(310,945)	(329,144)
ცვეთის ხარჯი		(66,946)	(51,577)
ხელფასის ხარჯი		(2,122,854)	(1,722,360)
საოპერაციო მოგება		884,064	369,119
ფინანსური შემოსავალი		10,541	20,990
საკურსო სხვაობა		(13,106)	(61,357)
მოგება დაბეგვრამდე		881,498	328,752
მოგების გადასახადის ხარჯი			
წმინდა მოგება		881,498	328,752
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		881,498	328,752

დირექტორი

დავით გოგოჭური

შპს ეფემჩი სოფტ
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	3	3,457,877	2,570,497
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	3	(120,268)	(98,298)
მთლიანი მოგება		3,337,609	2,472,199
სხვა საოპერაციო შემოსავალი		47,200	-
ადმინისტრაციული ხარჯი		(310,945)	(329,144)
ცვეთის ხარჯი		(66,946)	(51,577)
ხელფასის ხარჯი		(2,122,854)	(1,722,360)
საოპერაციო მოგება		884,064	369,119
ფინანსური შემოსავალი		10,541	20,990
საკურსო სხვაობა		(13,106)	(61,357)
მოგება დაბეგვრამდე		881,498	328,752
მოგების გადასახადის ხარჯი			
წმინდა მოგება		881,498	328,752
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		881,498	328,752



დირექტორი

დავით გოგოჭური

შპს ეფემჩი სოფტ
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	881,498	328,752
კორექტირება:		
ძირითადი საშუალებების ცვეთა	66,946	51,092
საკურსო სხვაობა	13,106	61,357
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	961,551	441,201
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	(11,245)	(283,688)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(6,969)	30,965
ცვლილებები გადასახადებში	(23,869)	(40,775)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	(3,065)	265,956
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	916,402	413,660
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	916,402	413,660
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითადი საშუალებების მიღებიდან	(333,959)	(9,881)
ცვლილებები ძირითადი საშუალებების გასვლიდან	42,967	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(290,991)	(9,881)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი	(627,897)	(211,000)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(627,897)	(211,000)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(13,133)	(64,630)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(15,620)	128,148
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	694,242	566,094
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	678,622	694,242

დირექტორი

დავით გოგოჭური

შპს ეფემჩი სოფტ

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	881,498	328,752
კორექტირება:		
ძირითადი საშუალებების ცვეთა	66,946	51,092
საკურსო სხვაობა	13,106	61,357
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	961,551	441,201
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	(11,245)	(283,688)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(6,969)	30,965
ცვლილებები გადასახადებში	(23,869)	(40,775)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	(3,065)	265,956
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან გადახდილი მოგების გადასახადი	916,402	413,660
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	916,402	413,660
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითადი საშუალების მიღებიდან	(333,959)	(9,881)
ცვლილებები ძირითადი საშუალების გასვლიდან	42,967	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(290,991)	(9,881)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი	(627,897)	(211,000)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(627,897)	(211,000)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(13,133)	(64,630)
ფული და ფულადი ექვივალენტის წეტო ცვლილება	(15,620)	128,148
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	694,242	566,094
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	678,622	694,242

დირექტორი

დავით გოგოჭური

შპს ეფემჩი სოფტ
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

ძირითადი საქმიანობა

შპს „ეფემჩი სოფტ“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) დაფუძნდა 2010 წლის 19 მარტს, მარეგისტრირებული ორგანო არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, დოლიძის ქ. N2

კომპანიის დამფუძნებლებია შპს „ბიზნეს პროცესების მართვის ჯგუფი“ 57.2% და შპს „ფინანსური მართვის ჯგუფი“ 42.8%-ით.

ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და დანერგვა.

გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

შენიშვნა 7 - ფული და ფულის ექვივალენტები	31.12.2023	31.12.2022
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშზე	289,733	224,367
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშზე	388,889	469,875
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	678,622	694,242

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არ არის იდენტიფიცირებული არსებითი ღირებულების უიმედო ვალები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება, შესაბამისად მენეჯმენტი არ ახორციელებს მათ დარეზერვებას პერიოდის ბოლოს.

შენიშვნა 6 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო მოთხოვნები რეალიზაციიდან	333,436	307,303
გადახდილი ავანსები	55,418	70,188
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	-	92
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	388,854	377,583

შპს ეფემჩი სოფტ
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ბალანსზე რიცხული მარაგები არ წარმოადგენს მალფუჭებად პროდუქციას და არის სწრაფად ბრუნვადი რის გამოც არ არის იდენტიფიცირებული არაბრუნვადი მარაგები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

შენიშვნა 5 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები	31.12.2023	31.12.2022
ლიცენზიები	121,131	120,331
საწვავი და სხვა მარაგები	15,207	9,038
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	136,338	129,369

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. პერიოდის ბოლოს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება რეალური საბაზრო ღირებულებისგან და არ საჭიროებს შეფასებას.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწას, ხელოვნების ნიმუშებსა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემული საექსპლუატაციო პერიოდის შესაბამისად

- შენობა-ნაგებობა 30-40
- ოფისის აღჭურვილობა 10-20
- კომპიუტერული ტექნიკა 10-20
- სატრანსპორტო საშუალებები 10-20
- ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა 5-10

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივები მოიცავს ეკონომიკური საქმიანობაში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფას.

შენიშვნა 4 - ძირითადი საშუალებები

	შენობა- ნაგებობები	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება	139,941	130,789	18,080	209,443	498,252
ცვეთა	(80,233)	(92,298)	(14,695)	(90,445)	(277,670)
ბალანსი 31/12/2021	59,708	38,491	3,385	118,998	220,582
დანამატები		3,990	5,892		9,881
ცვეთა პერიოდისათვის	(13,994)	(15,082)	(1,557)	(20,944)	(51,577)
ბალანსი 31/12/2022	45,714	27,399	7,720	98,053	178,886
დანამატები	-	46,616	1,424	285,919	333,959
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	(115,000)	(115,000)
ცვეთა პერიოდისათვის	(13,994)	(15,261)	(1,480)	(36,211)	(66,946)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	72,033	72,033
ბალანსი 31/12/2023	31,720	58,754		304,794	402,932
ბალანსი 31/12/2023	31,720	58,754		304,794	402,932
ბალანსი 31/12/2022	45,714	27,399		98,053	178,886

სავაჭრო ვალდებულებები და მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე, მათზე გადახდილი ავანსები, სახელფასო ვალდებულებები და სხვა მიმდინარე გადახდები.

შენიშვნა 8 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები	(2,884)	102,464
მიღებული ავანსები	1,190	326,867
სახელფასო ვალდებულებები	85,094	
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	83,401	429,331

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

ღივიდენდები

ღივიდენდები ვალდებულადაა აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდში გამოცხადებული ღივიდენდი მიკუთვნებულია იმ საანგარიშო პერიოდს რომელ პერიოდშიც მოხდა მისი განაწილება.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყილულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე ან მათგან საკომპენსაციო თანხის წინასწარ მიღების შემთხვევაში, რა დროსაც აღნიშნული თანხა იდენტიფიცირებულია როგორც მიღებული ავანსები. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყილულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება ღივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. ღივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც ღივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა ღივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან საქონლისა და მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 “მოგების გადასახადებით” არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის წმინდა დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. შესაბამისად, კომპანია ყველა საგადასახადო კრედიტორულ ვალდებულებებთან ან დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს წარადგენს თითოეული საწარმოს მიხედვით, წმინდა საფუძველზე.

შემოსავალი რეალიზაციიდან და გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს გაყიდული პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისი ლიცენზიების ღირებულებას.

შენიშვნა 3 - შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულების ხარჯი	2023	2022
შემოსავალი პროგრამული მომსახურებიდან	3,457,877	2,570,497
ლიცენზიების თვითღირებულება	(120,268)	(98,298)
სულ წმინდა შემოსავალი	3,337,609	2,472,199

ხარჯები

საწარმო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოუქმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის ხარჯებს.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

შენიშვნა 4 - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2023	2022
საწვავის ხარჯი	24,309	34,024
მარკეტინგული ხარჯი	8,359	10,720
კომუნიკაციის ხარჯი	15,216	15,211
საკანცელარიო ხარჯი	2,927	3,021
საკონსულტაციო ხარჯი	11,000	24,487
საბანკო ხარჯი	3,120	2,836
ავტომობილის შენახვის ხარჯი	20,089	13,797
ქვეკონტრაქტორის ხარჯები	160,215	138,717
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	65,710	86,331
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	310,945	329,144

სასამართლო დავები

საანგარიშო პერიოდში და არც მის შემდგომ კომპანიაში სასამართლო დავები ან შესაძლო პრეტენზიები რომელიც დავის საგანი შეიძლება რომ გახდეს იდენტიფიცირებული არ არის.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში კომპანიის ოპერაციებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა რაც საჭიროებს დამატებით ანგარიშგებაში წარდგენას